# უნივერსიტეტი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთი

№4 (47) 2015


## WEBOMETRICS-ის რანჟირებით თსუ კავკასიის რეგიონში პირველია




***ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი მსოფლიო უნივერსიტეტების საუკეთესო 10%-ში შევიდა, კავკასიის რეგიონში კი პირველია.***

2015 წლის მონაცემებით, მსოფლიოს 23 887 უნივერსიტეტს შორის, თსუ 2006-ე ადგილზეა, ევროპის უნივერსიტეტების ჩამონათვალში (4000-მდე უნივერსიტეტი) 714-ე ადგილზე (საუკეთესო უნივერსიტეტების 20%-ში), კავკასიის რეგიონში და საქართველოში კი პირველ ადგილს იკავებს.

www.webometrics.info-ს რანჟირებით კავკასიის რეგიონიდან სომხეთის საუკეთესო უნივერსიტეტი მხოლოდ 2628-ე ადგილს, აზერბაიჯანის საუკეთესო უნივერსიტეტი კი 6405-ე ადგილს იკავებს.

*გაგრძელება მე-2 გვ.*

## სახელმწიფო საგრანტო კონკურსში კვლავ თსუ დოქტორანტები ლიდერობენ




საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დოქტორანტების ფინანსური მხარდაჭერისთვის გამოცხადებულ სახელმწიფო საგრანტო კონკურსში კვლავ თსუ დოქტორანტები ლიდერობენ.

2014 წლის დეკემბერში გამოცხადებულ დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების საგრანტო კონკურსის შედეგად შოთა რუსთაველის ეროვნულ სამეცნიერო ფონდში 376 საკონკურსო განაცხადი (თსუ-დან 150 განაცხადი) დარეგისტრირდა. დამოუკიდებელმა ექსპერტებმა კონკურსის შედეგად 87 გამარჯვებული პროექტი გამოავლინეს. აქედან ნახევარზე მეტი – 45 პროექტი – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტების მიერ არის წარდგენილი. აღსანიშნავია ისიც, რომ გამარჯვებული პროექტების ქულების მიხედვით რან-

*გაგრძელება მე-3 გვ.*

## პოსტდოქტორანტურის ინსტიტუტი თსუ-ში

***პოსტდოქტორანტურის ინსტიტუტი საქართველოში პირველად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ამოქმედდა. მსგავსი გამოცდილება კარგა ხანია არსებობს განვითარებული ქვეყნების უმაღლეს სასწავლებლებში. რექტორის მოადგილის, პოსტდოქტორანტურაში კონკურსით მიმღები კომისიის თავმჯდომარის მერაბ ელიაშვილის თქმით, ეს ინიციატივა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს, აკადემიკოს ვლადიმერ პაპავას ეკუთვნის. მისი განხორციელება დაახლოებით ერთი წელია დაიწყო.***



პოსტდოქტორანტი დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირია, რომელიც ვადიანი ხელშეკრულების საფუძველზე საქმდება უნივერსიტეტის ფაკულტეტზე ან/და მის დამოუკიდებელ-სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტში - კონკრეტული სამეცნიერო-კვლევითი პროექტის განსახორციელებლად, აკადემიური საბჭოს დადგენილებით განსაზღვრული დარგების/მიმართულებების მიხედვით.

პოსტდოქტორანტურის მიზანია დოქტორის აკადემიური ხარისხის მფლობელი მეცნიერის მხრდაჭერა, მისი ჩართვით უნივერსიტეტისთვის აქტუალური კვლევის განხორციელებასა და აკადემიურ საქმიანობაში.

პოსტდოქტორანტად დასაქმების უფლება აქვს დოქტორს ან მასთან გათანაბრებულ აკადემიური ხარისხის პირს, თუ პოსტდოქტორანტად მიღების პროცედურის დაწყებისას იგი არის არაუმეტეს 35 წლისაა და შესაბამისი აკა-

*გაგრძელება მე-2 გვ.*

## თსუ-ს სტუდენტების/აკადემიური პერსონალის წარმომადგენლების კიდევ ერთი წარმატება!

***ევროკომისიის მიერ დაფინანსებული ერასმუს მუნდუსის HERMES-ის საგრანტო კონკურსში, რომლის კონსორციუმში 14 უნივერსიტეტია გაერთიანებული, თსუ-ს სტუდენტები/აკადემიური პერსონალის წარმომადგენლები ლიდერობენ.***

2014 წლის ოქტომბერში გამოცხადებულ ერასმუს მუნდუსის HERMES-ის სტიპენდიების მოსაპოვებლად 436 საკონკურსო განაცხადი (საქართველოდან ჯამში 231 განაცხადი, მათ შორის თსუ-დან 148) დარეგისტრირდა. პროექტის შესარჩევმა კომისიამ კონკურსის შედეგად 112 გამარჯვებული გამოავლინა. მათ შორის 39 საქართველოს მოქალაქეა, მათგან 30 კი თსუ-ს სტუდენტი/აკადემიური პერსონალია.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის 26 სტუდენტს და 4 აკადემიურ პერსონალს ევროკომისიის დაფინანსებით 2015/2016 სასწავლო წელს HERMES-ის პროექტი დაუნიშნავს ყოველთვიურ სტიპენდიას და დაუფინანსებს ორმხრივი საერთაშორისო მგზავრობისა და დაზღვევის ხარჯებს.

## უნივერსიტეტი წმინდა გიორგის ოქროს ორდენით დაჯილდოვდა



ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი 97 წლისაა. ამ თარიღთან დაკავშირებით საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ უნივერსიტეტი წმინდა გიორგის ოქროს ორდენით სამების საკათედრო ტაძარში დააჯილდოვა. საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის უმაღლესი ჯილდოთი – წმინდა გიორგის ოქროს ორდენით თსუ დაჯილდოვდა ახალგაზრდა თაობაში ინტელექტუალური პოტენციალის განვითარებისა და მათში ეროვნუ-

გვ. 2

## გრაკლიანი გორას კულტურული მემკვიდრეობის ეროვნული კატეგორიის ძეგლის სტატუსი მიენიჭა



გვ. 3

## თსუ ქართველ მეცნიერებს GRID-ის შესაძლებლობების გამოყენებას სთავაზობს

გვ. 2

## სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტი – საქართველო

San Diego State University
Georgia

გვ. 2

# უნივერსიტეტი წმინდა გიორგის ოქროს ორდენით დაჯილდოვდა

*პირველი გვერდიდან*

ლი სულისკვეთების განმტკიცებისათვის, ღრმა მეცნიერული აზროვნების დამკვიდრებისა და, ზოგადად, ქვეყნის წინსვლაში შეტანილი უდიდესი წვლილისათვის. ორდენის ტარების უფლება აქვს მოქმედ რექტორს. საიუბილეო ღონისძიების ფარგლებში თსუ რექტორმა, აკადემიკოსმა ვლადიმერ პაპავამ, სტუდენტებმა და აკადემიური წრეების წარმომადგენლებმა თსუ პანთეონში თაიგულებით შეამკეს უნივერსიტეტის დამფუძნებელთა საფლავები. შემდეგ გაიმართა საიუბილეო სხდომა, რომელზეც უნივერსიტეტის წინაშე გაწეული ღვაწლისთვის უნივერსიტეტისა და ივანე ჯავახიშვილის მედლებით დაჯილდოვდნენ თსუ ფაკულტეტების, კვლევითი ინსტიტუტებისა და ადმინისტრაციის თანამშრომლები.

თსუ რექტორის ვლადიმერ პაპავას განცხადებით, „უნივერსიტეტისთვის 97 წელი არც ისე ბევრია. მსოფლიოში მრავალი უნივერსიტეტია, რომელთა არსებობა საუკუნეებს ითვლის. თუმცა, თუ გავიხსენებთ ქართველი ერის ისტორიულ მისწრაფებას ცოდნის დაუფლებისთვის, შეიძლება ითქვას, რომ ჩვენთვის უნივერსიტეტი ბევრად უფრო ადრინდელია. უნივერსიტეტი ახორციელებს და წარმატებით ართმევს თავს იმ ამოცანებს, რომელიც ჩვენმა დიდმა წინაპრებმა, უნივერსიტეტის დამფუძნებლებმა დასახეს. წმინდა გიორგის ოქროს ორდენი ჩვენი თითოეული პროფესორისა და სტუდენტის, ჩვენი წინა თაობების დამსახურებაა. 25 წლის წინ, სწორედ 8 თებერვალს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს ავტონომია მიენიჭა. უნივერსიტეტი ყოველთვის დამოუკიდებელი უნდა იყოს იმ საკითხების გადაწყვეტაში, რომელიც ჩვენი უნივერსიტეტის განვითარებისთვის არის საჭირო.“ „თბილისის უნივერსიტეტი არასოდეს ყოფილა მხოლოდ უნივერსიტეტი. უნივერსიტეტი მაშინ დაარსდა, როცა ბოლშევიკური ხელისუფლება ჯერ დამყარებული არ იყო. ამან საშუალება მისცა, რომ უნივერსიტეტი ყოფილიყო ქართული სასწავლებელი. საბჭოთა კავშირის დროს დაარსებულ ყველა უმაღლეს სასწავლებელში სწავლა რუსულ ენაზე მიმდინარეობდა. ჩვენი უნივერსიტეტი ყოველთვის ახერხებდა ეროვნული სულისკვეთების შენარჩუნებას,“ – აღნიშნა თსუ ემერიტუს პროფესორმა მარიამ ლორთქიფანიძემ. 1918 წლის 26 იანვარს (ახალი სტილით 8 თებერვალს) დავით აღმაშენებლის ხსენების დღეს გაიხსნა კავკასიაში პირველი ეროვნული უნივერსიტეტი – ტფილისის უნივერსიტეტი, რომელმაც, ქართული საგანმანათლებლო ტრადიციების გათვალისწინებით, საფუძველი ჩაუყარა საქართველოში ევროპული ტიპის უმაღლეს სკოლას. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი დღეს საქართველოს ერთ-ერთი უპირველესი სამეცნიერო-სასწავლო დაწესებულებაა, ყოველწლიურად აქ 200-მდე ადგილობრივი და საერთაშორისო მასშტაბის სამეცნიერო საგრანტო პროექტი ხორციელდება. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი თავისი მასშტაბით ერთ-ერთი უდიდესია საქართველოში. დღეისთვის თსუ-ს 7 ფაკულტეტზე 20 ათასზე მეტი სტუდენტი სწავლობს.

# შეხვედრა სტუდენტებთან



18 მარტს თსუ რექტორმა, აკადემიკოსმა ვლადიმერ პაპავამ, თსუ ფაკულტეტების დეკანებთან ერთად შეხვედრა გამართა სტუდენტებთან. მსგავსი შეხვედრები ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში პერმანენტულად იმართება და ის პრობლემებზე ღიად საუბარს და უნივერსიტეტის განვითარების შესახებ მოსაზრებების გაცვლას ემსახურება.

შეხვედრაზე განიხილეს ისეთი თემები, როგორიცაა ენების სწავლების ხარისხი, სტუდენტთა დასაქმების ხელშემწყობი ღონისძიებები, საჯარო სექტორში სტაჟირების მეტი შესაძლებლობები, საგნების არჩევასთან დაკავშირებული საკითხები, სახელმწიფო დაფინანსების პერსპექტივა და სხვა. სტუდენტების შეკითხვებს თსუ რექტორთან ერთად თსუ 7 ფაკულტეტის დეკანმა უპასუხა.

# WEBOMETRICS-ის რანჟირებით თსუ კავკასიის რეგიონში პირველია

*პირველი გვერდიდან*

მსოფლიო უნივერსიტეტების ვებრანჟირება ევროპაში ერთ-ერთი წამყვანი კვლევითი ესპანური ორგანიზაცია – Consejo Superior de Investigaciones Cientificas (CSIS)-ის ლაბორატორიის Cybernetrics Lab ინიციატივით ხორციელდება. ორგანიზაცია ესპანეთის მასშტაბით 126 ცენტრს და ინსტიტუტს აერთიანებს. უნივერსიტეტების რანჟირებისას ორგანიზაცია ითვალისწინებს სხვა ვებგვერდებიდან მინიშნების მაჩვენებელს (Google, Yahoo, Live Search, Exalead), უნივერსიტეტის ვებგვერდის შიგა გვერდების რაოდენობას, მასზე სრულყოფილი ტექსტების რაოდენობას, ვებგვერდზე განთავსებული სამეცნიერო სტატიების და მათი ციტირების რაოდენობას.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რანჟირებისას, ტექნიკური თვალსაზრისით არ იქნა გათვალისწინებული უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულების – ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის (ISET) და მაღალი ენერგიების ფიზიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ვებგვერდებზე არსებული მაჩვენებლები. ISET-ისა და მაღალი ენერგიების ფიზიკის ინსტიტუტის მონაცემები, შეცდომით, ცალკეა დათვლილი და რანჟირებული. ამ ხარვეზის გასწორების შემდეგ თსუ-ს მაჩვენებელი გაცილებით გაუმჯობესდება.

კვლევაში საქართველოს 64 უნივერსიტეტია ჩართული.

# თსუ განათლების საერთაშორისო გამოფენაზე



ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა მონაწილეობა მიიღო განათლების საერთაშორისო გამოფენაში. განათლების მეხუთე საერთაშორისო გამოფენა 27-28 თებერვალს საგამოფენო ცენტრ „ექსპო-ჯორჯიაში“ გაიმართა. გამოფენაზე თსუ ორიგინალური სტენდით წარსდგა, რომელმაც საუკეთესო დიზაინის კატეგორიაში გაიმარჯვა და სერტიფიკატი დაიმსახურა. გამოფენის სტუმრებმა მიიღეს ინფორმაცია თსუ ფაკულტეტების, საგანმანათლებლო პროგრამების (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა), გაცვლითი პროგრამების შესახებ. ღონისძიების მსვლელობისას გაიმართა შემეცნებითი ხასიათის ვიქტორინა. გამარჯვებულები დაჯილდოვდნენ პრიზებით - თსუ-ს ბრენდირებული ატრიბუტიკით.

კავკასიაში პირველი – თბილისის უნივერსიტეტი 1918 წელს გაიხსნა. ქართული საგანმანათლებლო ტრადიციების გათვალისწინებით, საფუძველი ჩაეყარა საქართველოში ევროპული ტიპის უმაღლეს სკოლას. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ლიდერია დღესაც – თავისი მასშტაბითა და სწავლების ხარისხით: უნივერსიტეტის 7 ფაკულტეტზე (ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა, ეკონომიკისა და ბიზნესის, მედიცინის და იურიდიული ფაკულტეტები, ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა) 20 000-ზე მეტი სტუდენტი სწავლობს; თსუ-ს შემადგენლობაშია 16 სამეცნიერო ინსტიტუტი, ასევე ფაკულტეტებზე არსებობს სხვადასხვა მიმართულების კვლევითი ინსტიტუტები და ცენტრები; თსუ-ს აქვს უნიკალური ფონდების მქონე ბიბლიოთეკა და მუზეუმი.

# თსუ ქართველ მეცნიერებს GRID-ის შესაძლებლობების გამოყენებას სთავაზობს

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ქართველ მეცნიერებს GRID-ის საერთაშორისო სისტემაში ჩართვის და მუშაობის შესაძლებლობას აძლევს. GRID არის განაწილებული გამოთვლების ფორმა, რომელიც შეიძლება წარმოვადგინოთ როგორც „ვირტუალური სუპერკომპიუტერი“, რომელიც წარმოდგენილია ქსელით-დაკავშირებული კლასტერების სახით (ერთმანეთთან დაკავშირებული კომპიუტერები, რომლებიც მუშაობენ ერთად ამოცანების უზარმაზარი რაოდენობის შესასრულებლად).

თსუ საქართველოს სამეცნიერო-საგანმანათლებლო კომპიუტერული ქსელების ასოციაცია – „გრენა“–სთან თანამშრომლობით ახორციელებს შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებულ პროექტს – „GRID ინფრასტრუქტურისა და სერვისების განვითარება საქართველოს სამეცნიერო საზოგადოებების დასახმარებლად“.

წარმოდგენილი პროექტის სტრატეგიულ მიზანს წარმოადგენს ქართველი მეცნიერებისათვის ახალი კვლევითი გარემოს შექმნა, რომელიც მეცნიერებს უზრუნველყოფს მარტივი და გამჭვირვალე GRID (განაწილებული გამოთვლების ფორმა) ინფრასტრუქტურითა და მომსახურებით.

პროექტის ფარგლებში შექმნილი ინფრასტრუქტურა ქართველ მეცნიერებს აძლევს საშუალებას, რათა მათ ეფექტურად გამოიყენონ შექმნილი შესაძლებლობები დიდი გამოთვლითი რესურსის საჭიროების მქონე სამეცნიერო ამოცანების გადაწყვეტაში.

მაღალი ენერგიების ფიზიკის, ელექტრული და ელექტრონული ინჟინერიის, ბიოლოგიის, მეტეოროლოგიის, კლიმატური ცვლილებების, სეისმოლოგიისა და სხვა დარგებში წამყვან საერთაშორისო კვლევით პროექტებში სრულმასშტაბიანი თანამშრომლობისთვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება ქვეყანაში განვითარებული GRID სისტემის არსებობას. შესაბამისად, პროექტის ფარგლებში განვითარებული განაწილებული გამოთვლების (Distributed Computing GRID) ინფრასტრუქტურა საქართველოს სამეცნიერო პოტენციალის ევროპულ კვლევებში ჩართვისმნიშვნელოვან შესაძლებლობებსიძლევა.

პროექტის ხელშეწყობით, პირველად საქართველოში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაზაზე 2014 წელს შეიქმნა GRID სერტიფიკაციის ორგანო (ჩერტიფიცატიონ Authority – TSU CA), რომელიც აღიარებულია მსოფლიოს ყველა GRID სისტემის მიერ. TSU CA უზრუნველყოფს რომ, ქართველმა მეცნიერებმა ვირტუალური ორგანიზაციის წევრობის შემთხვევაში შეძლონ GRID-ის სერტიფიკატის მიღება და შესაბამისად სამეცნიერო ამოცანების გაშვება საქართველოს და მსოფლიოს GRID ინფრასტრუქტურაზე.

ინფორმაცია პროექტის შესახებ ხელმისაწვდომია შემდეგ ვებ მისამართზე: http://grid.grena.ge/, ხოლო ინფორმაცია სერტიფიკაციის ორგანოს შესახებ განთავსებულია ვებგვერდზე: https://grid-ca.tsu.ge/, სადაც დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მოიძიონ ინსტრუქციები GRID სერტიფიკატის მიღების, განახლების და მოხმარების შესახებ.

# სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტი – საქართველო

2015 წლიდან სტუდენტებს მიეცემათ უნიკალური შესაძლებლობა, მიიღონ ამერიკული განათლება და ამერიკული დიპლომი საქართველოში. სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტი (SDSU), ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს უმაღლესი განათლების კომპონენტის ფარგლებში, სტუდენტებს სთავაზობს მაღალი ხარისხის, საერთაშორისო აკრედიტაციის მქონე (ABET, ACS, WASC[1]) საბაკალავრო პროგრამებს საინჟინრო და ტექნოლოგიურ (STEM) დარგებში. აღნიშნული პროგრამები ხელს შეუწყობს საქართველოში საბუნებისმეტყველო და ტექნოლოგიური დარგების განვითარებასა და ქვეყანაში მაღალკვალიფიციური სამუშაო ძალის მომზადებას.

პროექტი ხორციელდება აშშ-ის ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის (MCC) მეორე კომპაქტის ფინანსური მხარდაჭერით.

სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამები ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან ერთად ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტისა და და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის თანამშრომლობით განხორციელდება.

2015 წელს სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტი – საქართველო, პარტნიორ უნივერსიტეტებთან თანამშრომლობით გთავაზობთ შემდეგ საბაკალავრო პროგრამებს:

***ივ. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი***

- ქიმია/ბიოქიმია - (კოდი 0010112) 50 ადგილი
- ელექტრული ინჟინერია - (კოდი 0010112) 50 ადგილი
- კომპიუტერული ინჟინერია - (კოდი 0010112) 50 ადგილი

***ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი***

- ელექტრული ინჟინერია - (კოდი 0100405) 50 ადგილი.
- კომპიუტერული ინჟინერია - (კოდი 0100405) 50 ადგილი.

***საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი***

- ქიმია/ბიოქიმია - (კოდი 0031102) 50 ადგილი
- ელექტრული ინჟინერია - (კოდი 0031101) 50 ადგილი
- კომპიუტერული ინჟინერია - (კოდი 0031101) 50 ადგილი

სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამები სტუდენტებს მოამზადებს საბუნებისმეტყველო და ტექნიკურ დარგებში წარმატებული პროფესიული კარიერისთვის; პროგრამებისთვის განკუთვნილი სასწავლო აუდიტორიები, საინჟინრო, სამეცნიერო და კომპიუტერული ლაბორატორიების აღჭურვილობა და სტანდარტები, ასევე სტუდენტებისათვის შეთავაზებული ტექნოლოგიები იქნება ამერიკის შეერთებულ შტატებში სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტში არსებული კრიტერიუმების შესაბამისი.

სწავლება განხორციელდება ინგლისურ ენაზე და ლექციებს SDSU-ს ამერიკელი პროფესორები ჩაატარებენ.

სტუდენტების ინგლისურ ენაში სათანადო მომზადებისთვის, საერთაშორისო განათლების ცენტრთან თანამშრომლობით, SDSU-საქართველომ დააფუძნა ინგლისური ენის აკადემია (English Language Academy - ELA), რომელიც აბიტურიენტებს სთავაზობს ინგლისური ენის მოსამზადებელ კურსებს თბილისში, ქუთაისში, ბათუმში, ახალციხესა და სხვა ქალაქებში.

SDSU-საქართველოს სტუდენტებს აგრეთვე ეძლევათ უნიკალური შესაძლებლობა ერთი სემესტრით ან ერთი წლით სწავლა განაგრძონ სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის კალიფორნიის კამპუსში. სტუდენტები ამ შემთხვევაში გადაიხდიან სწავლის იგივე საფასურს, რასაც საქართველოში.

*მეოთხე გვერდზე*

1 ABET – საინჟინრო პროგრამების აკრედიტაციის ამერიკის საბჭო; ACS – ამერიკის ქიმიკოსთა ასოციაცია; WASC – სკოლებისა და კოლეჯების დასავლეთის ასოციაცია.

# პოსტდოქტორანტურის ინსტიტუტი თსუ-ში

*პირველი გვერდიდან*

დემიური ხარისხის მინიჭებიდან გასულია არაუმეტეს 3 წლისა.

კონკურსის წესით მიღების გარდა, უფლებამოსილმა პირმა პოსტდოქტორანტის სტატუსი შესაძლებელია მოიპოვოს არასაკონკურსო ფორმით: ინდივიდუალური ან სპეციალური წესით. არასაკონკურსო ფორმით პოსტდოქტორანტად უნივერსიტეტში მიღება შესაძლებელია მხოლოდ კონკრეტული პროექტის ინდივიდუალური წესით, ალტერნატიული (არასაუნივერსიტეტო) დაფინასებით უზრუნველყოფის პირობებში ან სპეციალური წესით - უნივერსიტეტის მიერ მოპოვებული სამეცნიერო საგრანტო პროექტის ფარგლებში გათვალისწინებული შესაბამისი ვაკანსიის არსებობის შემთხვევაში. უნივერსიტეტში არასაკონკურსო ფორმით მისაღებ პოსტდოქტორანტთა რაოდენობა შეუზღუდავია. თსუ-ის პოსტდოქტორანტად დასაქმების შესახებ დებულების მიხედვით, უნივერსიტეტში ერთდროულად შეიძლება საქმიანობდეს კონკურსის ფორმით მიღებული არაუმეტეს 12 პოსტდოქტორანტისა.

როგორც მერაბ ელიაშვილი განმარტავს, პოსტდოქტორანტის სტატუსის მოპოვება შესაძლოა უცხოელმა მეცნიერმაც შესძლოს, მით უფრო იმ შემთხვევაში, თუ იგი თავის კვლევის თსუ-ში განსახორციელებლად დაფინანსების მოძიებას და მოზიდვას შეძლებს.

ეს სხვა დადებით მხარეებთან ერთად, საერთაშორისო კონტაქტების კიდევ უფრო გაღმავებას და უნივერსიტეტის უფრო მეტად წარმოჩენასაც შეუწყობს ხელს.

ზოგადად პოსტოქტორანტურის მიზანია, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი კვლევების მხარდაჭერა და განვითარება, ინოვაციების გამოვლენის და სამეცნიერო კვლევების კომერციალიზაციის ხელშეწყობა, დოქტორის აკადემიური ხარისხის მფლობელებს შორის კონკურენტული გარემოს შექმნა.

თსუ-ში საკონკურსო წესით პოსტდოქტორანტურაში დასაქმებისათვის 2014 წელს გამოცხადებულ კონკურსში მიღებული 8 განაცხადიდან, მიმღები კომისიის მიერ კონკურსანტთა საპროექტო განაცხადების ექსპერტიზის შემდეგ, ექვს ვაკანტურ ადგილზე გამსვლელი ბარიერი ხუთმა გადალახა. დებულების თანახმად, პოსტდოქტორანტად მიღების შესახებ გადაწყვეტილებას საკონკურსო კომისია წარმოდგენილი პროექტის დამოუკიდებელ ექსპერტთა მიერ შეფასების საფუძველზე იღებს. ექსპერტების სტატუსით შესაბამისი სამეცნიერო დარგის დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირები არიან.

2015 წლის მარტიდან პოსტდოქტორანტთა პირველი ნაკადის წარმომადგენლები სამეცნიერო პროექტების განსახორციელებლად შესაბამისად დასაქმდებიან: ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე - მაია სვანაძე, მედიცინის ფაკულტეტზე - ნატო ფიცხელაური, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე - ნათია ფიფია, იურიდიულ ფაკულტეტზე - გიორგი რუსიაშვილი, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე - თამარ კბილაძე.

თსუ-ში პოსტდოქტორანტად მუშაობის ვადა 12-დან 24 თვემდეა. გამონაკლის შემთხვევაში, იმ სტრუქტრული ერთეულის შუამდგომლობით, სადაც ხორციელდება პროექტი, საქმიანობის ვადა შეიძლება გაგრძელდეს არაუმეტეს 6 თვით.

# გრაკლიანი გორას კულტურული მემკვიდრეობის ეროვნული კატეგორიის ძეგლის სტატუსი მიენიჭა

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის, მიხეილ გიორგაძის წარდგინებით და საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, „გრაკლიანის გორას“ და „ქართული ანბანის სამი სახეობის ცოცხალ კულტურას“ ეროვნული კატეგორიის ძეგლის სტატუსი მიენიჭა.ამ თემასთან დაკავშირებით 20 მარტს, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში გაიმართა პრესკონფერენცია. პრეს-კონფერენციას წინ უძღოდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში თსუ მეცნიერებისა და საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს შეხვედრა სადაც საქართველოს მთავრობას გრაკლიანი გორის (კასპის რაიონი) კულტურული მემკვიდრეობის ეროვნული კატეგორიის ძეგლის სტატუსის მინიჭების ინიციატივით მიმართეს. ღონისძიებაზე გრაკლიან გორაზე აღმოჩენილი მრავალფეროვანი არტეფაქტი გამოიფინა.



გრაკლიან გორაზე არქეოლოგიურ სამუშაოებს თსუ არქეოლოგები და სტუდენტები თსუ პროფესორის ვახტან ლიჩელის ხელმძღვანელობით 2007 წლიდან აწარმოებენ. გრაკლიანი გორის განსაკუთრებული მნიშვნელობა რამდენიმე ფაქტორში გამოიხატება. გრაკლიან გორაზე არქეოლოგიური გათხრების შედეგად ქვის ხანიდან ანტიკურ პერიოდამდე საზოგადოების განვითარების უწყვეტი ციკლი დადასტურდა. მრავალფენიანი არქეოლოგიური ძეგლის ისტორია მოიცავს დაახლოებით 1.5-2 მილიონ წელს, რაც დადასტურებულია ამ ტერიტორიაზე აღმოჩენილი უძველესი ქვის იარაღებით. გარდა ამისა, აქვე აღმოჩენილია 10 სხვადასხვა პერიოდის არქეოლოგიური მასალის შემცველი კულტურული ფენა. განსაკუთრებით კარგად არის შემონახული ძველი წელთაღრიცხვის პირველი ათასწლეულის შუახანების ნაშთები. დიდი მნიშვნელობისაა ძველი წელთაღრიცხვის მე-5-4 საუკუნეების ტაძრები და მცირე არქიტექტურული ფორმები. აღმოჩენილია ცივილიზაციის სხვადასხვა ცენტრებში დამზადებული ნაწარმი, როგორიცა ძველი წელთაღრიცხვის IV ათასწლეულში სამხრეთ მესოპოტამიაში დამზადებული საბეჭდავები; ასევე ირანში, საბერძნეთში, ფინიკიასა და ეგვიპტეში დამზადებული ნივთები. სწორედ ამ შედეგების საფუძველზე გაჩნდა იდეა, რომ გრაკლიანი გორა, რომელიც ბოლო წლებია თსუ სტუდენტებისთვის სამეცნიერო პრაქტიკის ბაზად ჩამოყალიბდა, ეროვნული კატეგორიის ძეგლად გამოცხადებულიყო,რაც, როგორც აღვნიშნეთ, განხორციელდა კიდეც. თსუ არქეოლოგთა კიდევ ერთი იდეა ამ ტერიტორიაზე ღია ცის ქვეშ მუზეუმის გახსნას გულისხმობს, რაც საინტერესო ადგილს შემატებს ქართულ კულტურულ ძეგლებს.

# სახელმწიფო საგრანტო კონკურსში კვლავ თსუ დოქტორანტები ლიდერობენ

*პირველი გვერდიდან*

ჟირებულ სიაში რეიტინგულ პირველ ათეულში 7 პროექტი თსუ დოქტორანტებისაა.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 45 დოქტორანტს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი დაუნიშნავს სტიპენდიას, დაუფინანსებს სადოქტორო კვლევისთვის საჭირო ხარჯებს, საზღვარგარეთ სტაჟირებას ან კონფერენციაზე გამგზავრებას და მონაწილეობას.

შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების საგრანტო კონკურსი პირველად 2013 წელს გამოცხადდა. ამ წელსაც თსუ იყო ლიდერი – გამარჯვებულ 135 პროექტს შორის 60 პროექტი თსუ დოქტორანტის მიერ იყო წარდგენილი.

თსუ-დან გამარჯვებული პროექტების პირველი 20-ეული ასე გამოიყურება:

- ფოტოგრაფიულ-ბინოკულარული ნარატივი ქართულ მოდერნისტულ ტექსტებში. თსუ. 99 ქულა.
- მიწისძვრების დროში განაწილების ლოკალური თავისებურებების შესწავლა კავკასიისა და დედამიწის სხვა რეგიონების სეისმური კატალოგების ანალიზის საფუძველზე. თსუ. 99 ქულა.
- კულტურული მემკვიდრეობის მენეჯმენტი ღია ცის ქვეშ მუზეუმებში. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. 98 ქულა.
- კოლონიალიზმის იმაგოლოგიური ასპექტები (გ. გაჩევის ქართულ თემატიკაზე შექმნილი თხზულებების მაგალითზე). თსუ. 98 ქულა.
- ქართული ავტობიოგრაფია. თსუ. 98 ქულა.
- გვარის მორფოლოგიური კატეგორია მეგრულ-ლაზურში. თსუ. 97.5 ქულა.
- I მეფეთას ძველი ქართული ვერსიები (ტექსტის ისტორია, გამოსაცემად მომზადება. თსუ. 97.5 ქულა.
- ქართული ბერმონაზვნობა IV-VIII საუკუნეებში. თსუ. 97 ქულა.
- ნუკლონ-ნუკლონური დრეკადი გაბნევა. თსუ. 97 ქულა.
- აღმოსავლეთ-დასავლეთის ურთიერთმიმართების საკითხი „მაჰჯარის“ ლიტერატურაში. თსუ. 97 ქულა.
- ოქროს საწარმოს მიერ დაბინძურებული ნიადაგების ფიტორემედიაცია. თსუ. 96.5 ქულა.
- აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის კომპლექსურ-გეოგრაფიული კვლევა თანამედროვე მეთოდების გამოყენებით ხევის, ხევსურეთის, თუშეთის მაგალითზე. თსუ. 96.5 ქულა.
- ხათური ენა და მისი მიმართება იბერიულ-კავკასიურ ენებთან. თსუ. 96.5 ქულა.
- 1930-იანი წლების საბჭოთა მეხსიერება: პოლიტიკური რეპრესიები. თსუ. 96.5 ქულა.
- მოქალაქეობრივი ცნობიერების ფორმირებისა და განვითარების საკითხები ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში - სწავლების მეთოდიკა და აქტივობები“. თსუ. 96.5 ქულა.
- 2008 წლის აგვისტოს ომი, როგორც კოლექტიური ტრავმა. თსუ. 96.5 ქულა.
- მკაცრი დაყვანადობების ალგებრული სტრუქტურები. თსუ. 96 ქულა.
- მიჯაჭვულობის განვითარება მიმრღებ ოჯახებში 96 ქულა
- ახალი ქირალური სულფოქსიდების სინთეზი ენენტიოსელექტივობასა და ქიმიურ სტრუქტურას შორის კავშირის დადგენის მიზნით მაღალეფექტურ სითხურ ქრომოგრაფიაში 95,5
- გარიგების ფორმებისა და შინაარსის ურთიერთმიმართება და ფორმის დაუცველობით გამოწვეული სამართლებრივი შედეგი. 95,5
- ფინანსურ ლიბერალიზაციის გავლენა საქართველოს ეკონომიკის განვითარებაზე 95

გიორგი ამირანაშვილი, თსუ იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტი ერთ-ერთი მათგანია, ვინც კონკურსში გაიმარჯვა. მისი კვლევაა: „გარიგების ფორმებისა და შინაარსის ურთიერთმიმართება და ფორმის დაუცველობით გამოწვეული სამართლებრივი შედეგი“. პროექტი ორ კომპონენტს მოიცავს. პირველი მათგანი უკავშირდება სადისერტაციო კვლევის თეორიულ ნაწილს. „პროექტით გათვალისწინებულია ორთვიანი კვლევითი ვიზიტის განხორციელება ჰარვარდის სამართლის სკოლის ბიბლიოთეკაში, სადაც შესაძლებლობა მომეცემა, გავეცნო ანგლოამერიკული სამართლის დოქტრინასა და სასამართლო პრაქტიკას, რაც ამ მიმართულებით შეავსებს ჰამბურგის (გერმანია) მაქს-პლანკის საზღვარგარეთისა და საერთაშორისო კერძო სამართლის ინსტიტუტში ჩემ მიერ უკვე განხორციელებულ კვლევას, კონტინენტური ევროპის სამართალთან დაკავშირებით. ამავე ვიზიტის ფარგლებში, დაგეგმილია დისერტაციის თემაზე სტატიის მომზადება, შემდგომში, მისი გამოქვეყნების მიზნით. რაც შეეხება მეორე კომპონენტს, პროექტი ითვალისწინებს კვლევის პრაქტიკულ ნაწილთან დაკავშირებული ინფორმაციის მოპოვების მიზნით, საქართველოს ხუთ დიდ ქალაქში, საერთო სასამართლოთა მოსამართლეების ინტერვიურების განხორციელებას“.

რევაზ გერაძე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამის პირველი კურსის დოქტორანტია.

მისი სადოქტორო კვლევა გულისხმობს ფინანსური ლიბერალიზაციის გავლენის შესწავლას საქართველოს ეკონომიკურ განვითარებაზე. კვლევის ფარგლებში, თანამედროვე ეკონომეტრიკული მეთოდების გამოყენებით, მოხდება დროითი მწკივებისა და ქვეყნების პანელური მონაცემთა ბაზის ანალიზი. ცვლადებს შორის აღმოჩენილი ურთიერთკავშირები საშუალებას მოგვცემს გავაკეთოთ მნიშვნელოვანი დასკვნები მომავალი ეკონომიკური სტრატეგიის/გადაწყვეტილებების განსაზღვრის დროს.

„მოგეხსენებათ, საქართველომ ხელი მოაწერა ევროპასთან ასოცირების ხელშეკრულებას, რომლის თანახმად ჩვენი ქვეყანა ერთიანდება ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცეში. აღნიშნული შეთანხმება საქართველოს მსოფლიოს ფინანსურ/ეკონომიკურ სივრცეში ინტეგრაციას კიდევ უფრო გააღრმავებს. შესაბამისად, მოცემული სადოქტორო კვლევის შედეგი დამატებით აქტუალურობას შეიძენს. ნაშრომი ფაქტიურად იქნება შესავალი, იმ ეკონომიკური და სოციალური შედეგების ანალიზისათვის, რაც საქართველოსა და ევროპის ქვეყნებს შორის ლიბერალურ ეკონომიკურ ურთიერთობებს მოჰყვება“, – ამბობს რევაზ გერაძე კვლევის შინაარსზე საუბრისას.

ქეთევან ჩუბინიძე ზუსტ და საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის დოქტორანტია. მისი კვლევის დასახელებაა: „პროსტატის სიმსივნური ბიომარკერის ინ ვიტრო გამოკვლევა დაფუძნებული ოქროს ნანონაწილაკების ფუნქციონალურ კავშირზე ახლო ინფრაწითელ ფლუორესცენციურ საღებარსა და პროსტატის სპეციფიკურ მემბრანულ ანტიგენთან“. მკვლევარის განცხადებით: პროექტში დასმული საკითხების და ამოცანების წარმატებით გადაწყვეტა პერსპექტივაში საშუალებას მოგვცემს აღმოვაჩინოთ სიმსივნური წარმონაქმნები, მათი ჩამოყალიბებისა და განვითარების უაღრესად ადრეულ სტადიაზე, რაც ონკოლოგიური პაციენტების სრული განკურნების იმედს იძლევა. უნდა აღინიშნოს, რომ შემოთავაზებული მეთოდი შეიძლება გამოყენებული იქნას არა მარტო პროსტატის, არამედ სხვა სახის სიმსივნური წარმონაქმნების ადრეულ სტადიებზე დიაგნოსტირებისათვის.

ივეტა გოგავა თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სადოქტორო პროგრამა კულტურის კვლევების სტუდენტია. მისი სადოქტორო თემა 1930-იანი წლების საბჭოთა მეხსიერებას, კერძოდ, პოლიტიკურ რეპრესიებს ეხება. კვლევის მიზანია ამ რეპრესიების დანახვა მეხსიერების კუთხით. როგორ მოხდა მათი ასახვა იმ დროინდელ ჟურნალ-გაზეთებში, ანუ მედიაკვლევა, ასევე სკოლის სახელმძღვანელოებში და რეპრესირებულთა მემუარებში, რომელიც გამოქვეყნდა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ.

კულტურის კვლევების კიდევ ერთი დოქტორანტი ნინო ტაბეშაძე გახდა რუსთაველის ფონდის კონკურსის გამარჯვებული. ის 2008 წლის აგვისტოს ომს, როგორც კოლექტიურ ტრავმას, ისე იკვლევს.

თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტია ვახტანგ შამუგიაც, რომელიც ასევე ფონდის გამარჯვებული გახდა. მისი სადოქტორო ნაშრომი შეეხება დნესტრისპირეთის კონფლიქტს. ამ გრანტის ფარგლებში იგი შეისწავლის დნესტრისპირეთის კონფლიქტის ესკალაციის ეტაპებს და შეადარებს სხვა პოსტსაბჭოურ კონფლიქტებს. გაანალიზებს ასევე მხარეების მიერ გადადგმულ ნაბიჯებს, შეცდომებს და ყოველივე ამას სხვა პოსტსაბჭოთა, მათ შორის ქართულ კონფლიქტებთან მიმართებაში განიხილავს. როგორც უკვე აღვნიშნეთ, გამარჯვებულებს შორის კიდევ არაერთი თსუ-ელი დოქტორანტია. მათი კვლევებისა და მიღწევების შესახებ „უნივერსიტეტი“ კიდევ მოგიყვებათ.

# სიახლეები

24 მარტს თსუ კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტში ფილოსოფიურ კვლევათა იტალიური ინსტიტუტის (ნეაპოლი, იტალია) მკვლევარმა, ეკონომიკის უმაღლესი სკოლის (მოსკოვი, რუსეთი) პროფესორმა ანდრეი როსიუსმა წაიკითხა მოხსენება “არისტოტელე და მისი მიმდევრები გენიალობისა და მისი სიჭარბის შესახებ“.

* * *

23 მარტს, თსუ-ში საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის მოადგილემ თეიმურაზ მურღულიამ სტუდენტებისთვის საჯარო ლექცია წაიკითხა. საჯარო ლექციის თემა იყო: „მწვანე ეკონომიკა“.

* * *

თსუ ჰუმანიტარული ფაკულტეტის ვიზუალური ხელოვნების სამეცნიერო-სასწავლო ინსტიტუტის ასისტენტ-პროფესორი, დოქტორი ვლადიმერ ასათიანი სანდრო ბოტიჩელის საერთაშორისო პრემიით დაჯილდოვდა.

* * *

20 მარტს თსუ-ში საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა გიორგი ქადაგიძემ სტუდენტებისთვის წაიკითხა საჯარო ლექცია თემაზე: „საქართველოს ეკონომიკის გამოწვევები და პოტენციალი“.

* * *

20 მარტს თსუ-ში სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრი გიორგი მღებრიშვილი სტუდენტებს შეხვდა. შეხვედრაზე მინისტრმა ისაუბრა სასჯელაღსრულების სისტემაში მიმდინარე პროცესებზე, რეფორმებზე. ღონისძიების ბოლოს გაიმართა დისკუსია.

# საერთო სამაგისტრო გამოცდისათვის მოსამზადებელი კურსი

მაგისტრატურაში ჩაბარების მსურველებს თსუ აკადემიური განვითარებისა და უწყვეტი განათლების ცენტრის აბიტურიენტთა მოსამზადებელი განყოფილება გთავაზობთ საერთო სამაგისტრო გამოცდისათვის მოსამზადებელ კურსს.

***კურსის ხანგრძლივობა:*** 3 თვე (48 სთ.)
***კურსი შედგება ორი მოდულისაგან:***
1. ვერბალური კომპონენტი (ანალიტიკურიწერა, წაკითხულის გააზრება და ლოგიკური მსჯელობა),
2. რაოდენობრივი კომპონენტი (რაოდენობრივი მსჯელობა).
მაგისტრანტობის კანდიდატს შეუძლია გაიაროს მომზადების სრული კურსი ან აირჩიოს მისთვის სასურველი მოდული.
***კურსის ღირებულება:*** სრული კურსი 570 ლარი
ვერბალური კომპონენტი - 285 ლარი
რაოდენობრივი კომპონენტი - 285 ლარი
თსუ-ის სტუდენტებისათვის, კურსდამთავრებულთათვის, თანამშრომლებისა და მათი შვილებისათვის ვრცელდება ფასდაკლება:
***სრული კურსი:*** 285 ლარი
ვერბალური კომპონენტი - 140 ლარი
რაოდენობრივი კომპონენტი - 145 ლარი
***მეცადინეობები დაიწყება 2015 წლის 1 აპრილიდან.***
რეგისტრაცია შესაძლებელია 2015 წლის 2 მარტიდან
***საკონტაქტო ინფორმაცია:***
თბილისი, ქეთევან წამებულის 55, ოთახი 104.
***ტელ.:*** 599 977090; 599 584224, ***E-mail***: tsulll@tsu.ge

# ტრენერების ტრენინგი

თუ გსურთ ტრენინგ-კურსების ჩატარება და ფლობთ რაიმე კომპეტენციას სპეციალობაში, ჩვენი კურსი დაგეხმარებათ ტრენერობისათვის აუცილებელი პროფესიული უნარ-ჩვევების მიღებასა და ცოდნის გაღრმავებაში.

***კურსის გავლის შემდეგ მსმენელს შეეძლება:*** შეისწავლოს სამიზნე აუდიტორია და მისი საჭიროებები. მოამზადოს პროგრამა და გაწეროს დროში, დაგეგმოს სესიები, მოახდინოს თვითშეფასება, მართოს გუნდი და მართოს დრო.
კურსის გავლის შემდეგ მსმენელებს ეცოდინებათ:

- ტრენინგი და მისი სპეციფიკა;
- პირველი დღე და მასთან დაკავშირებული სირთულეები;
- როგორ ავაგოთ პირველი დღის გეგმა, გეგმის პრეზენაცია;
- ნიშის მოძებნა;
- სამიზნე აუდიტორია და მისი კვლევა;
- როგორ შევქმნათ პროგრამა;
- ტრენინგ-მოდულის და კურსის სტრუქტურის შემუშავება, დროში გაწერა;
- გუნდის მართვა და დინამიკა;
- რა თვისებებს უნდა ფლობდეს ტრენერი;
- ტრენინგი, მისი ტიპები, გამოყენებული აქტივობები და მეთოდები;
- ლიდერი და ლიდერობა.

***კურსში ჩართვის წინაპირობა მსმენელთათვის:*** არ არსებობს
***პედაგოგი:*** ლალი ჭელიძე
***სწავლების ენა:*** ქართული
***კურსის ხანგრძლივობა:*** 15 საათი (5 დღე, დღეში 3 საათი)
***კურსის ღირებულება:*** 120 ლარი
მეცადინეობები ჩატარდება თსუ-ის II კორპუსში, ილია ჭავჭავაძის გამზ. №3, აუდიტორია №101.
კურსის წარმატებით დასრულების შემდეგ გაიცემა თსუ-ის სერტიფიკატი

# სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტი – საქართველო

*მეორე გვერდიდან*

***სწავლის ღირებულება და ფინანსური დახმარება***

სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტი – საქართველოს ნებისმიერ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის ღირებულება წელიწადში 7500 დოლარს (ექვივალენტი ლარში) შეადგენს. საგანმანათლებლო პროგრამებზე ერთიანი ეროვნული გამოცდებით ჩარიცხულ სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ მოიპოვონ სრული ან ნაწილობრივი სახელმწიფო სასწავლო გრანტი (გრანტის მაქსიმალური წლიური ოდენობა შეადგენს 2250 ლარს). დამატებით, სწავლის საფასურის სრული ან ნაწილობრივი (100%, 75%, 50% და 25%) დაფინანსების მოპოვებისათვის აუცილებელი დამატებითი პირობების მოძიება და SDSU-საქართველოს ფინანსური დახმარების განაცხადის ელექტრონული ფორმების შევსება შეგიძლიათ ვებგვერდზე: www.georgia.sdsu.edu.

პროგრამებზე ჩარიცხვა საქართველოს მოქალაქეებისთვის წარმოებს ეროვნული გამოცდების გავლით. SDSU-საქართველოს პროგრამებზე სწავლება წარიმართება ინგლისურ ენაზე, შესაბამისად სტუდენტებს პირველი სასწავლო წლის ბოლოსთვის მოეთხოვებათ: TOEFL-ის ჩაბარება მინიმალური ქულით 70 (IBT) და 523 (PBT) ან IELTS-ის ჩაბარება 6.0 მინიმალური ქულით.

SDSU-საქართველოს პროგრამებზე მიიღებიან სტუდენტები, რომლებიც ერთიან ეროვნულ გამოცდებში, შემდეგ საგნებში დადგენილი კომპეტენციის ზღვარის გადალახვას შეძლებენ:

- ზოგადი უნარები – 57%+1
- ინგლისური ენა – 59%+1
- მათემატიკა – 50%+1
- ქიმია – 57%+1
- ქართული – ერთიანი ეროვნულ გამოცდებით განსაზღვრული კომპეტენციის მინიმალურიზღვარი

***დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ ვებ-გვერდზე:***
www.georgia.sdsu.edu.

***როგორ მივიღო ფინანსური დახმარება?***

***ნაბიჯი 1*** – 2015 წელს შემოთავაზებული პროგრამების შესახებ მიიღე ამომწურავი ინფორმაცია სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტი - საქართველოს წარმომადგენლობაში: ტელ: +995 32 229 08 20, E-mail: Georgiainfo@mail.sdsu.edu, Facebook: SDSU.Georgia, ვებ-გვერდი: www.georgia.sdsu.edu)

***ნაბიჯი 2*** – დარეგისტრირდი ეროვნულ გამოცდებზე და შემოხაზე სან დიეგოს უნივერსიტეტის შენ მიერ შერჩეული პროგრამა პირველ სამ არჩევანში, საქართველოს სამ პარტნიორ სახელმწიფო უნივერსიტეტში.

***ნაბიჯი 3*** – ესტუმრე სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებგვერდს www.georgia.sdsu.edu და შეავსე ფინანსური დახმარების განაცხადის ფორმა

***ნაბიჯი 4*** – სასკოლო გამოცდების დასრულების შემდეგ განაახლე ინფორმაცია სკოლის დამამთავრებელი გამოცდების შედეგების შესახებ ფინანსური დახმარების განაცხადში.

***ნაბიჯი 5*** – ერთიანი ეროვნული გამოცდების დასრულების შემდეგ განაახლე ინფორმაცია ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების შესახებ ფინანსური დახმარების განაცხადში.

***ნაბიჯი 6*** – NAEC-ში პროგრამების საბოლოო რეგისტრაციისა და დაფინანსების საკითხებზე კონსულტაციისთვის მიმართე SDSU - საქართველოს ადგილობრივ წარმომადგენლობას.

# თსუ ეკო-კლუბი - სოფელ სხვიტორში



22 მარტს წყლის დაცვის საერთაშორისო დღეს თსუ-ეკო კლუბი პროექტ “დიდი ნახტომის“ ფარგლებში, რომლის ორგანიზატორია კრეატიული განვითარების ცენტრი (CDC), გაემგზავრა საჩხერის მუნიციპალიტეტში სოფელ სხვიტორში მდინარე ჩიხურას ხეობის დასასუფთავებლად. მიმდინარე წელს UNESCO-ს ეგიდით აღინიშნება აკაკი წერეთლის დაბადებიდან 175 და გარდაცვალებიდან 100 წლისთავი. სიმბოლური იყო თსუ-ეკო კლუბის იქ გამგზავრებაც. აკაკი წერეთელს „ჩემი თავგადასავალში“ მდინარე ჩიხურაზე უწერია: “ალბათ ამის მიზეზი უნდა იყოს, რომ წყლებშიაც ყოველგვარ მდინარეს გიჟმაჟი ხევის წყალი მირჩევნია და მათში კი უპირატესობას ერთს მათგანს, ჩიხურას, ვაძლევ: ეს იყო ჩემი საკუთარი ემბაზი და ჩემი პირველი სარკე.“ სამწუხაროდ იქ ახლა რადიკალურად სულ სხვა სურათია. აღმოჩნდა, რომ ორი სოფელი – სხვიტორი და ჩიხა იყენებს მდინარის ხეობას ნაგავსაყრელად, მდინარე სხვადასხვა ნარჩენებით არის დანაგვიანებული.

წყლის საერთაშორისო დღის აღნიშვნის იდეა 1992 წელს რიო-დე-ჟანეიროში გარემოს დაცვისა და მის განვითარებაზე გაერთიანებული ერების კონფერენციაზე გაჩნდა. ამ დღის აღნიშვნა, კი 1993 წლის 22 მარტიდან დაიწყეს. ყოველ წელს გაერო ახალ კოორდინტორს ირჩევს, რომელიც პასუხისმგებლია ახალი თემის მომზადებაზე, წყლის დღესთან დაკავშრებით.

მდინარე ჩიხურას წყლის დასუფთავების აქციის თანაორგანიზატრები იყვნენ საჩხერის მუნიციპალიტეტის გამგეობა და საჩხერის ილია ჭავჭავაძის სახელობის მე-2 საჯარო სკოლა. ღონისძიებაში მონაწილეობდნენ საჩხერის მე-2 საჯარო სკოლის დირექტორი ლიკა გომართელი, სკოლის 11-12 კლასის მოსწავლეები, საჩხერის წყალკანალის მთავარი ინჟინერი – მერაბ ზაბახიძე, საჩხერის კულტურის სამსახურის უფროსი ლევან ჩხეიძე. წყლის დაცვის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება გააშუქა სამაუწყებლო კომპანიამ – „იმერვიზია“. თსუ- ეკო კლუბის წევრებმა და სკოლის მოსწავლეებმა აქციის შემდეგ საჩხერის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ეზოში დაწერეს Big Jump Challenge-ს („დიდი ნახტომის შეჯიბრი”) ინიციალები – „BJC“.

თსუ-ეკო კლუბმა საჩხერის 2 საჯარო სკოლაში ლექცია ჩაატარა მსოფლიოს წყლის დაცვის საკითხებთან დაკავშირებით. საჯარო სკოლის აქტიურ მოსწავლეებს გადაეცათ სიმბოლური საჩუქრები. აღსანიშნავია, რომ დიდი ნახტომის შეჯიბრის ფარგლებში თსუ-ეკო კლუბი სამომავლოდაც აპირებს ამ და სხვა ტიპის ღონისძიებების განხორციელებას.

# კონკურსის „მოსწავლის თვალით დანახული საქართველოს ტყეების“ ფინალი

21 მარტს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში კონკურსის „მოსწავლის თვალით დანახული საქართველოს ტყეების“ ფინალი, გამოფენა და დაჯილდოების ცერემონია გაიმართა. კონკურსის ფინალისტებს სერტიფიკატები, ხოლო გამარჯვებულებს უნივერსიტეტის მიერ დაწესებული საჩუქრები გადაეცათ.

კონკურსი „მოსწავლის თვალით დანახული საქართველოს ტყეები“ ტყის საერთაშორისო დღეს ეძღვნება, რომელიც 21 მარტს აღინიშნება. კონკურსი 9 თებერვალს გამოცხადდა და მასში მონაწილეობა საქართველოს ყველა სკოლის მოსწავლეებსა და მასწავლებლებს შეეძლოთ.

ტყის პრობლემებსა და მათი გამოსწორების პერსპექტივებზე მოსწავლეებმა საკუთარი ნამუშევრები შექმნეს. კონკურსში 96 სკოლა მონაწილეობდა. მომზადდა 205 ნაშრომი, საიდანაც ფინალში 48 საუკეთესო გადავიდა.





